

პლიტონიტ სუპერკამინი თერმოკლადკა თიხის

თბომედეგი ხსნარი ღუმელების, ბუხრების, საკვამურებისა და მაყალების გარე კედლების თიხის აგურებით წყობისთვის შენობა-ნაგებობების შიგნით და გარეთ

- ☐ თიხის საფუძველზე
- ☐ ნარევის სიცოცხლისუნარიანობა არანაკლებ 2 დღე-ღამისა
- ☐ შეუკლები წყობა
- ☐ არ არის აგურის დასველების აუცილებლობა
- ☐ გარე და შიდა სამუშაოებისთვის

ფერი: რუხი

მშრალი თბომედეგი წყობის ნარევი თიხის საფუძველზე. განკუთვნილია ღუმელების, ბუხრებისა და საკვამურების გარე კედლების თიხის აგურებით წყობისთვის შენობა-ნაგებობების შიგნით და გარეთ. აქვს მაღალი ტექნოლოგიურობა და მომატებული პლასტიკურობა, რაც უზრუნველყოფს კომფორტსა და სამუშაოს მოხერხებულობას. ხსნარის ნარევის წყლის შეკავების უნარის წყალობით, არ არის საჭირო აგურის დაღობვა, რაც ზოგავს ოსტატის დროსა და ძალისხმევას. გამოირჩევა მომატებული ტენმედეგობით, ბზარების მიმართ მდგრადობით, გამოწვისას ჩაჯდომის არარსებობით, რაც უზრუნველყოფს საიმედო შედეგსა და სამუშაოების გარანტიას ნაკერის მთლიანობის შენარჩუნების ხარჯზე. ნარევის სიცოცხლისუნარიანობა არანაკლებ ორი დღე-ღამისა. რეკომენდებული წყობის ნაკერის სისქე 4-6 მმ-ია. წყობის ნაკერის მაქსიმალური სისქე 15 მმ.

მასალის ხარჯი

მზა ხსნარის რაოდენობა: 12,5-13,3 ლიტრი/20 კგ მშრალი ნარევი.

მასალის ხარჯი 5 მმ-იანი ნაკერის სისქის შემთხვევაში არის 0,36 კგ/აგური (ზომა 250x120x65), ე.ი. 20 კგ მშრალი ნარევი განკუთვნილია 55 აგურის წყობისთვის.

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და მათი დასრულებიდან შემდგომი 7 დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელია ჰაერისა და აგურების ტემპერატურის შენარჩუნება +5°C-დან +30°C-მდე ფარგლებში. ხსნარის ნარევის ტემპერატურა სამუშაოების ჩატარების პროცესში – +10°C-დან +30°C-მდე.

ზედაპირის მომზადება

აგურების ზედაპირი უნდა იყოს მშრალი. ნარევის წყლის შეკავების მაღალი უნარი იძლევა აგურების ჩაღობვის აუცილებლობის თავიდან აცილების საშუალებას. სამუშაოები უნდა ჩატარდეს მშრალ ზედაპირზე, რომელიც გასუფთავებულია ჭუჭყის, მტვრის, ზეთების, ცხიმების, ყველა სახის საღებავის, თიხის და ცემენტის ხსნარისგან. აგური კარგად უნდა იყოს გამომწვარი, არ უნდა ჰქონდეს ბზარები, ფუჭვილები, ქვებისა და სხვა უცხო მასალების ჩანაწინწკლები; უნდა ჰქონდეს სწორი ფორმა, დაკაკუნებისას გამოსცემდეს ხმოვან და სუფთა ხმას.

ხსნარის ნარევის მომზადება

მშრალი ნარევის ადულაბებისთვის გამოიყენეთ წყალი სასმელი წყალმომარაგებიდან. თანაფარდობა შერევისას: 1 კგ მშრალი წებოვანი ნარევისთვის საჭიროა 0,14-0,18 ლ წყალი (2,8-3,6 ლ 20 კგ-ზე) ჩაყარეთ მშრალი ნარევი წინასწარ აზომილ წყალში და მოურიეთ 2-3 წუთის განმავლობაში ელექტრო მიქსერით ან პირიანი ელექტრო ბურღით ბრუნვის სიხშირე არაუმეტეს 600 ბრ/წთ ერთგვაროვანი კონსისტენციის მიღებამდე. მიეცით ხსნარის ნარევს 10 წუთი დაღექვის საშუალება და მოურიეთ ხელახლა.

განმეორებითი მორევის დროს დასაშვებია წყლის დამატება ზემოთ აღნიშნული თანაფარდობის მაქსიმალურ მნიშვნელობამდე. მზა ხსნარის ნარევის გამოყენების დრო არანაკლებ 2 დღე-ღამისა. სამუშაო დღის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია, ადურაბებული ნარევი შეფუთოთ მჭიდრო პაკეტით ან დაახუროთ სახურავი. მეორე დღეს მუშაობის დაწყებისას ნარევის გასქელების შემთხვევაში ჩაამატეთ ცოტა წყალი და კარგად აურიეთ.

მუშაობის წესი

მონოლითური და გამძლე კედლის კონსტრუქციის შესაქმნელად წყობა უნდა შესრულდეს ვერტიკალური ნაკერების გადაფარებით მომიჯნავე რიგებში მათი ნახევრით ან მეოთხედი აგურით გადანაცვლების ხარჯზე. ყოველი რიგის წყობამდე აუცილებელია აგურის განლაგება ხსნარის გარეშე ("მშრალად"). ხსნარი წყობისთვის ისმევა და სწორდება აგურის სიბრტყის ტოლ ფართობზე. წასმულ ხსნარზე იდება აგური და სწორდება ხელით დაჭერით ან კელმის სახელურით დაკაკუნებით. რიგში ყოველი მომდევნო აგურის წყობისას მის ტორსულ ნაწილზე ასევე ისმევა ხსნარი. წყობის დროს კედლების შიდა და გარე ზედაპირები იწმინდება ნაკერებიდან გამოწურული ხსნარისგან გლუვი ზედაპირის შექმნამდე, ხოლო შიდა ზედაპირები დამატებით იწმინდება ნექის ჯაგრისით ან სველი ნაჭრით. აგურის წყობისას აუცილებელია ყოველი რიგის ჰორიზონტალურობისა და წყობის სიბრტყივობის (ამოზნეილობის ან ჩაზნეილობის არარსებობა) შემოწმება ყველა მხრიდან. ჰორიზონტალური და ვერტიკალური წყობის ნაკერები სრულად უნდა იყოს შევსებული ხსნარით. აუცილებელია ცეცხლგამძლე აგურის საცეცხლისისა და თიხის აგურისგან დამზადებულ გარე კედელს შორის ღრეჩოს დაცვა.

ღუმელის გაშრობა

ექსპლუატაციის დაწყებამდე კონსტრუქცია უნდა გაშრეს ბუნებრივი ან ხელოვნური გზით. ბუნებრივი გზით გაშრობისას ოთახის ფანჯრები და კარები, სადაც კონსტრუქცია მდებარეობს, ღია უნდა იყოს მთელი დღე-ღამის განმავლობაში გამჭოლი ქარის არასებობის პირობით. ყველა საკვალთები, საცეცხლისა და ჰაერის მიწოდების კარები უნდა იყოს ღია. ასეთ გაშრობისთვის საჭიროა

~7-10 დღე. ხელოვნური გაშრობისას კონსტრუქცია პერიოდულად ხურდება მშრალი საწვავით მისი რაოდენობის თანდათანობით გაზრდით. პირველი დანთების წინ აუცილებელია საკვამურის გახურება მასში ქაღალდის, ჩალის ან ხის ბურბუშელების დაწვით. თავდაპირველად ღუმელი ხურდება დღეში ორჯერ არაუმეტეს 60-90 წუთის განმავლობაში მცირე რაოდენობით საწვავით, ღია საცეცხლისა და ჰაერის მიწოდების კარებებით, ხუფითა და საკვალთებით. სამომავლოდ საწვავის რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, ამასთანავე, ღუმელის გარე ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს

+50°C-ს. გაშრობა დასრულებულად ითვლება მაშინ, როდესაც ღუმელის ზედაპირზე აღარ გამოჩნდება ნოტიო ლაქები, ხოლო საკვალთზე ან ხუფზე - კონდენსაციის კვალი.

ღუმელის ექსპლუატაცია

ღუმელისა და ბუხრის ექსპლუატაციის დროს გარეგანი წყობის გარე ზედაპირის გადახურებამ შეიძლება, გამოიწვიოს ბზარები აგურის წყობაში და მოსაპირკეთებელ მასალაში, გახდეს დამწვრობის მიზეზი შეხებისას.

ყურადღება

სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელია წესების კოდექსი 7.13130.2013-ს მოთხოვნების შესრულება. დაუშვებელია ხსნარისა და ლითონის ნაწარმის შეხება. ტემპერატურული ნაკერი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 მმ-ს. ღუმელი, ბუხარი, მილი არ უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული სახლის სამშენებლო კონსტრუქციებთან. დაუშვებელია ღუმელების წყობის სამუშაოების ჩატარება გაყინვის მეთოდით, ასევე ცივი აგურისა და ხსნარის გამოყენება. მითითებული მახასიათებლები მოქმედებს გარემოს $20 \pm 2^\circ\text{C}$ ტემპერატურისა და ჰაერის $60 \pm 10\%$ ფარდობითი ტენიანობის პირობებში. სამუშაოების ჩატარებისას უნდა იხელმძღვანელოთ ზოგადი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებითა და უსაფრთხოების ტექნიკით მშენებლობაში. წყობის ნაკერების შემდგომი შეკეთების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენეთ პლიტონიტ სუპერკამინი თერმორემონტი.

სამუშაოების ჩატარების პროცესში რეკომენდებულია ხსნარის ნარევის დროდადრო მორევა. მზა ხსნარის ნარევი აკრძალულია წყლის დამატება.

უსაფრთხოების ზომები

ნარევი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები. მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით. მთავრით ბავშვებს!

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ნარევის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. ტომრები მშრალი ნარევით უნდა იქნას შენახული დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობა და აარიდებს დატენიანებისგან. შენახვის ვადა მწარმოებლის ტარაში – 12 თვე დამზადების დღიდან ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობების დაცვით.

შემადგენლობა

კაოლინის თიხა, თბომდეგი შემესები, მინერალური შემკვრელი, მამოდიფიცირებელი დანამატები.

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ნარევი შეესაბამება ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვისა და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ P 8.579-2019-ს.

პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა < 370 ბკ/კგ; "რადიაციული უსაფრთხოების ნორმების" (რადიაციული უსაფრთხოების ნორმები-99/2009) სანიტარული წესებისა და ნორმების 2.6.1.2523-09-ის I კლასის მიხედვით).

ტექნიკური მახასიათებლები

შევისების მაქსიმალური ფრაქცია, მმ	2,5 მმ
წყლის რაოდენობა	
1 კგ-ზე	0,14-0,18 ლ
20 კგ-ზე	2,8-3,6 ლ
მასალის ხარჯი	20 კგ ~ 50-55 აგური (5 მმ-ის სისქის შრის შემთხვევაში)
ხსნარის ნარევის ძვრადობა	
24 სთ-ში., არანაკლებ	110 მმ
48 სთ-ში., არანაკლებ	110 მმ
ხსნარის სიმტკიცე კუმშვისას საპროექტო ასაკში, არანაკლებ	2,5 მპა
ხსნარის ნარჩენი სიმტკიცე კუმშვისას, არანაკლებ	1,5 მპა
ექსპლუატაციის მაქსიმალური ტემპერატურა, არაუმეტეს	+400 °C
მზა ხსნარის ნარევის გამოყენების დრო, არანაკლებ	48 საათი
ყინვამდგეგობის ხსნარის მარკა	F35

მნიშვნელოვანი რჩევები

რჩევები და რეკომენდაციები, თუ როგორ გააკეთოთ ღუმელი საკუთარი ხელით, შეგიძლიათ, მალე იხილოთ ჩვენს ახალ საიტზე Superkamin.ru აქ შეგროვდება და გამოქვეყნდება ღუმელებისა და ბუხრების პროექტები. ღუმელების აგურის წყობის შრედაშრე ნახაზები წარმოდგენილია თითოეული წყობის რიგისთვის. თქვენ შეძლებთ ღუმელის საკუთარი ხელით აშენებას დეტალური ინსტრუქციებისა და ღუმელის ოსტატების პროფესიონალური ნახაზების გამოყენებით. PLITONIT-ის სუპერკამინის ხაზის პროდუქციის დახმარებით თქვენ შეძლებთ, გააკეთოთ ბარბიქუს ღუმელი, აბანოს ღუმელი, შვედური ღუმელი, ქვების ღუმელი, ბუხარი, მაყალის ღუმელი და სხვა სახის ღუმელები.

თუ თქვენ გჭირდებათ ღუმელის ან ბუხრის ბათქაში, გამოიყენეთ PLITONIT სუპერკამინ თერმოშტუკატურკა. ღუმელის ან ბუხრის მოსაპირკეთებლად გამოიყენეთ თბომდეგი წებო ფილებისთვის PLITONIT სუპერკამინ თერმოკლეი.